საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/212 „18" ივნისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „დ"-„ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) უდავო წარმოების საქმეები; გამარტივებული წარმოების საქმეები; შრომითი სამართლებრივი დავები; მუშაკის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული დავები; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავები; პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დავები; ნაწარმოების გამოყენების აკრძალვის და საავტორო უფლების მფლობელთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინტელექტუალურ-სამართლებრივი დავები;

ე) ინტელექტუალურ-სამართლებრივი დავები, გარდა ნაწარმოების გამოყენების აკრძალვის და საავტორო უფლების მფლობელთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ დავებისა; ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დავები, თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს, გარდა: დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებისა; მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებისა; არასამეწარმეო პირებს, მათ შორის ფიზიკურ პირებს, შორის წარმოშობილი დავებისა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების, უსაფუძვლო გამდიდრების ან სხვა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან; არასამეწარმეო პირებს შორის გარიგების ბათილად ცნობის შესახებ დავებისა (იძულების, მოტყუების, მოჩვენებითობის ან სხვა საფუძვლით); არასამეწარმეო პირებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავებისა; არასამეწარმეო პირებს შორის წარმოშობილი დავებისა უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ (აღიარებითი სარჩელები); დავებისა, სადაც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 2 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი